

၉၈၈၅၅၅

თეა ლომაძე

პალომა

უცნაური მეფის ასული

Thea Lomadze

PALOMA

The Strange Princess

რედაქტორები: ეკა ბერიშვილი, დევიდ რაუსონი
Edited by Eka Berishvili, Devid Rowson

გარეკანზე: ნანა მელქაძის ნახატი

© თეა ლომაძე 2006, 2024

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2006, 2024

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-825-8

www.diogene.ge

თეა ლომაძე
Thea Lomadze

პალომა

უცნაური მეფის ასული

Paloma

The Strange Princess

ერთ ისეთსავე ლამაზ ქვეყანაში, როგორშიც შენ ცხოვრობ, ერთი ხელმწიფე მეფობდა. ჰყავდა ცოლი და პატარა ქალიშვილი. არ ვიცი, მართლა ასე იყო, თუ იქაურებს ეგონათ, თავიანთი მეფე – ყველაზე ჭკვიანი, პური და ღვინო – ყველაზე გემრიელი, წყარო – ყველაზე ცივი, მზე – ყველაზე თბილი, ცა – ყველაზე ლურჯი და მიწა – სხვისაზე უფრო აბიბინებული. იმ ქვეყანას უმწვანესი ერქვა.

უმწვანესი პატარა იყო, მაგრამ დიდი წარსული ჰქონდა. მეფეს ძალიან უნდოდა ვაჟი ჰყოლოდა, ტახტის მემკვიდრე, რომელიც მის შემდეგ იმეფებდა და ქვეყანას უპატრონებდა. ამისათვის რა აღარ იღონეს: ხან ჯადოსნური ვაშლი შეჭამეს, ხან სალოცავებში იარეს, ხანაც ცნობილი მკითხავები მოიწვიეს, მაგრამ უშედეგოდ – დედოფალს მეორე შვილი არა და არ ეყოლა. თუმცა იგი დიდად არ წუხდა, რადგან საფიქრალი და გასართობი სხვაც ბევრი ჰქონდა: მოდების ჟურნალებს ათვალიერებდა, ქსოვილებით მოვაჭრეებს

I

Once upon a time, in a country just as beautiful as the one where you live, there was a king who had a wife and a little daughter. I am not sure whether it was really true, but the inhabitants of that country thought that their King was the most intelligent, their bread and wine the most delicious, their springs the coldest, their sun the warmest, their sky the bluest and their land the richest in greenery. That country was called The Greenest.

The Greenest was small, but it had an illustrious past. The King craved for a son, an heir to the throne who would reign and look after his country in succession to his father. They tried every possible method to achieve this: they ate a magic apple, prayed in holy places, invited the most famous fortunetellers, but all in vain – the Queen could not have another baby. She didn't worry about it though, as she had lots of other things to think about or to occupy herself with: she browsed through

და მკერავებს მითითებებს აძლევდა, მზარეულებს დიეტურ საჭმელს ამზადებინებდა. დღეში ორჯერ მასაჟს იკეთებდა, სამჯერ სასწორზე დგებოდა და ოთხჯერ კაბას იცვლიდა. მკერავი, მზარეული, მასაჟისტი და რამდენიმე მოახლე გოგო გამუდმებით უკან დაჰყვებოდნენ, რადგანაც არ იცოდნენ, დედოფალს როდის რა მოესურვებოდა. რომ მოსცილებოდნენ, ხუთ წუთში უკანვე მოუხმობდა, ამიტომ უთავბოლოდ აქეთ-იქით სირბილს ისევ დედოფლის კუდში დევნა ერჩიათ.

მართალია, მეფე ვაჟს ნატრობდა, მაგრამ ცოლიც ძალიან უყვარდა, მასთან განშორება და სხვა ცოლის მოყვანა ეძნელებოდა. ამიტომაც ნელ-ნელა ეგუებოდა ბედს და ცდილობდა, აღარ ეფიქრა თავის საწუხარზე.

მეფე ნამდვილი მეფე იყო, დედოფალიც – ნამდვილი დედოფალი. მეფე – წარმოსადეგი და დიდებული, დედოფალი – კალმით ნახატი და ნარნარი. პატარა მეფის ასული კი სულ არ იყო ლამაზი. უფრო სწორად, არც უმნო, მაგრამ... მოკლედ, ჩვეულებრივი ბავშვი გახლდათ. სასახლის ისტორიკოსი, რომლის მამაც ისტორიკოსი იყო და ბაბუაც, ამტკიცებდა, ასეთი უბრალო ბავშვი ამ სასახლეში არასდროს დაბადებულაო. უმწვანესის მეფის ასულები ყოველთვის მშვენიერნი, სილამაზის მფრქვეველნი და სიამაყით აღსავსენი იყვნენო, ამბობდა, და თან სქელი ხელნაწერი წიგნიდან, რომელიც სულ თან დაჰქონდა, ადგილებს იმოწმებდა.

the fashion magazines, gave directions to cloth merchants and seamstresses and ordered the cooks to make special meals. She had a massage twice a day, weighed herself on the scales three times a day and changed her dress four times a day. Her seamstress, her cook, her masseuse and several maids accompanied her everywhere as they didn't know beforehand what the Queen would like and when. Even if they left her, she would call them back in five minutes, so they preferred staying with her to interminably racing back and forth.

The King, it is true, was longing for a son, but he was very fond of his wife too. He couldn't bring himself to divorce her and marry again; so he was gradually coming to terms with his fate and tried not to think about his problem.

The King was a real king and the Queen a real queen. He was imposing and magnificent, and she was beautiful and graceful, but the little princess was not pretty at all. Moreover, she was, well, not quite ugly but... in a nutshell she was just an ordinary child. The palace historian, whose father and grandfather had been historians too, repeated over and over again that such an ordinary child had never ever before been born in the palace. "The princesses of The Greenest have always been beautiful and full of pride," he used to say, carrying a thick handwritten book to confirm what he said.

– ასეთი ბავშვი ხომ ჩვენი ქალაქის ყველა სახლშია! – ხშირად ეჩურჩულებოდა დიდგვაროვნებს და სინანულით თავს აქნევდა.

პატარა მეფის ასულის საქციელი იმიტომ იწვევდა გაოცებას, რომ მას არც ძვირფასი თვლებით მოჭედილი სათამაშოებით თამაში უყვარდა, არც მორთულ-მოკაზმული სტუმრების თვალთვალი. ის არასოდეს იწუნებდა საჭმელს და არ ითხოვდა, სხვა კერძი მომიზნადეთო. არც უმიზეზოდ ტიროდა, გინდა თუ არა ესა და ეს მომართვით ან მომგვარეთო. სანამ სულ პატარა იყო, ქვიშაში თამაშობდა პაწია ნიჩბით, ბაღში ყვავილებს წყალს უსხამდა და ძაღლის ლეკვებს ეთამაშებოდა. ბოლოს კი თავიდან ფეხებამდე ამოთხუპნული ბრუნდებოდა შინ. მის დანახვაზე დედა და მამა ერთხმად ამოიკვნესდნენ ხოლმე: „ღმერთო, ვის ჰგავს ეს ბავშვი!“ ჰო, მართლა, მეფის ასულს სახელიც ცოტა უცნაური ერქვა. როცა გაჩნდა და დედოფალს ჰკითხეს, თქვენო უდიდებულესობავ, ბავშვს რას არქმევთო, იგი ჩაფიქრდა. უცებ უცხოეთიდან მიღებული ახალი სუნამო გაახსენდა და გოგონას მისი სახელი დაარქვა – იმ ქვეყანაში რომ არავის ერქვა – პალომა.

გადიოდა დრო. ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა. დედოფალს სულ მეტი და მეტი საქმე უჩნდებოდა. იგი ყოველდღე დადიოდა სტუმრად დიდგვაროვნებთან, ხანაც მეზობელ სახელმწიფოებში გამართულ წვეულებებზე. ყოველთვის ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და ყველას გაოცებასა და

“Such a child may be found in every family in our town,” he often whispered to the noblemen, shaking his head regretfully.

The behaviour of the little princess was considered weird because she didn't like playing with toys adorned with jewels or observing the spick-and span guests. She never rejected her food and never demanded the preparation of another dish. She never cried without reason, asking for something or someone in particular. When she was a baby she used to play in the sand with a small spade, or water flowers and play with puppies. Ultimately she would return home filthy, and when her parents saw her, they would utter: “Oh God, who does this child take after!” Oh, by the way, the princess had a rather strange name too. When she was born and they asked the Queen “Your Majesty, what would you like to call the child?” she thought for a while and then suddenly remembered the new perfume that she had got from abroad and so called the girl by its name, the name that nobody else in the country had – Paloma.

Time passed. Everyone had their own problems. The Queen's duties kept increasing. She paid daily visits to the noble families, and sometimes she went to the parties held in the neighbouring kingdoms. She always looked ravishing and drew everyone's admiration. Even when she was at

აღფრთოვანებას იწვევდა. როცა შინ იყო, შვილისთვის არც მაშინ ეცალა. თავის ჟურნალებში კითხულობდა, როგორ უნდა მოველო სახის კანისათვის, რომ ნაოჭები არ გასჩენოდა და რა ფერისა და სტილის ტანსაცმელი შემოდიოდა მოდაში. მისი მკერავებიც მთელი დღე მუშაობდნენ, რადგანაც დედოფალს არ ეკადრებოდა ორჯერ ერთი და იმავე კაბის ჩაცმა. ასე რომ, მისი ყოველი წუთი დაკავებული იყო.

მეფესაც თავისი საქმეები ჰქონდა. უმწვანესის მეზობლად ერთი დიდი ქვეყანა მდებარეობდა. ოდესღაც მათ შორის გამართულ ომში იმ ქვეყანამ გაიმარჯვა. მას აქეთ დამარცხებული უმწვანესი ყოველწლიურად ეტლებს და ურმებს ნაირნაირი სურსათითა და ძვირფასი ნივთებით ტვირთავდა და გამარჯვებულ ხელმწიფეს უგზავნიდა. თუმცა უმწვანესის მეფე – დემეტრი ამას საჩუქარს ეძახდა, სინამდვილეში ძალიან ცუდი სიტყვა – „ხარკი“ ერქვა. პალომას დიდ ბაბუას ხარკის მიცემა შეუწყვეტია იმ ქვეყნისათვის, რადგანაც ძლიერი ჯარი ჰყავდა და არაფრის ეშინოდა. მისი სურათი სასახლის თითქმის ყველა ოთახს ამშვენებდა. მეფეც სულ მას შენატროდა და მის სახელს იფიცებდა.

ისე, როგორც ყველა მეფის ასულს, პატარა პალომასაც ჰყავდა გამზრდელი. ეს ქალი ძალიან კეთილი და ალერსიანი იყო. პალომას ის ასეირნებდა, აჭმევდა, აძინებდა, უყვებოდა ზღაპრებს და ყველაფერს, რაც სასახლის ეზოს მიღმა ხდებოდა. რადგანაც მზარეულები მთელი დღე დედოფლის დიეტურ

home she didn't have time for her daughter; she read in her magazines how to look after her skin so that she wouldn't develop wrinkles and she also read what colour and style of clothes were coming into fashion. Her seamstresses worked all day long as it wouldn't become the Queen to wear the same dress more than once. So every second of her life was occupied.

The King had his business too. The Greenest had a large neighbouring country that had won the war which had occurred between them long ago. Since then The Greenest had been loading carriages and carts with various foodstuffs and valuables and sending them to the victorious king. This was repeated every year, and although the King of the Greenest – Demetrius – called this a gift, it actually had a very sad name: “tribute”. Paloma's great granddad had ceased paying the tribute to that country, because he had had a strong army and wasn't afraid of anything. His portraits were in almost every room in the palace. The King admired him and swore by his name.

Like any other princess, Paloma had a nanny, who was very kind and caring. She went for walks with Paloma, fed her, put her to bed, told her fairy-tales and about everything that happened beyond the palace garden. As the cooks had to prepare special dishes for the Queen the whole day,

კერძებს ამზადებდნენ, ბავშვს სადილსაც გამზრდელი უკეთებდა. ჰოდა, ერთხელ, როცა მას პალომას ოთახისაკენ სინით საჭმელი მიჰქონდა, შემთხვევით დერეფნის მოსახვევში დედოფალს დაეჯახა და მთელი თეფში წვნიანი კაბაზე გადაასხა. რა თქმა უნდა, ახალ კაბაზე. გაწიწმატებულმა დედოფალმა საშინლად იკივლა, ეს ქალი სასახლეში აღარ დავინახოო. გვერდით მდგომმა მსახურმა მოკრძალებით შეახსენა, ეს ხომ თქვენი შვილის აღმზრდელიაო, მაგრამ დედოფალმა კოპები შეკრა და გაიმეორა, სასწრაფოდ დატოვოს სასახლეო.

პალომა გამზრდელის გარეშე დარჩა. თუმცა მსახურები ულაგებდნენ, აბანავებდნენ და ურეცხავდნენ, გოგონა მაინც მარტო იყო და ხშირად ტიროდა. გამზრდელის შემდეგ პალომას ბედი ყველაზე მეტად მოხუც მებაღეს ადარდებდა. მეფის ასული მასთან ატარებდა დღის უმეტეს ნაწილს. ყვავილებს რწყავდა, უვლიდა, სარეველას აშორებდა. მებაღე ეხუმრებოდა კიდევ, მალე ამ საქმეს წამართმევ და უმუშევარი დავრჩებიო. პალომამ ბაღის ყველა მცენარის სახელი და მოვლის წესი იცოდა. ყოველ დილით იგი ულამაზეს თაიგულს კრავდა ვარდებისა და მინდვრის ყვავილებისაგან და დედის ოთახში, ლარნაკში დებდა. ყვავილები საოცარ სურნელეზას აფრქვევდა, ფერები კი ისე იყო შეხამებული, ნებისმიერ მნახველს გააოცებდა, მაგრამ დედოფალს ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა და არასოდეს შეუქია შვილი, არც მადლობა უთქვამს.

nanny cooked for the child. One day, when she was carrying Paloma's meal on a tray to her bedroom, she quite by chance collided with the Queen in one of the turnings of the hall and spilt the soup on her dress; and of course the dress was new. The Queen was furious and she screamed that she didn't want to see that woman in the palace again. One of the maids accompanying the Queen reminded her humbly that the woman was Paloma's nanny, but the Queen frowned and repeated that the woman should leave the palace.

So Paloma was left without a nanny. Although the servants cleaned for her, bathed her and washed her clothes, she was still alone and often cried. After the nanny the old gardener was the person who cared about Paloma's fate the most. The princess spent most of the day with him. She watered the flowers, looked after them, and dug out the weeds. The gardener even joked with her that she would soon take that business from him and leave him unemployed. Paloma knew the names of every plant in the garden and how to look after them. Every morning she made beautiful bouquets from roses and wild flowers and put them in a vase in her mother's room. The flowers had an amazing scent and the colours were chosen in such a way that they would surprise anyone who saw them, but the Queen took it for granted and never ever praised her daughter or thanked her.

პალომას კი ძალიან უყვარდა დედა. სიზმარში სულ მას ხედავდა. ისინი ერთად სეირნობდნენ, საუბრობდნენ, დედა გულში იხუტებდა და კოცნიდა. დედა მას, მხოლოდ მას უღიმოდა და ამ დროს სხვაზე არაფერზე ფიქრობდა. ყველაზე დასანანი ის იყო, რომ პალომას სიზმრები არასოდეს ხდებოდა. დედა შემთხვევით გვერდით თუ ჩაუვლიდა და შეამჩნევდა, უცბად მიაცხებდა, ღმერთო ჩემო, რას ამოგიჩემებია ეს კაბაო, და სანამ შვილი პასუხის გაცემას მოასწრებდა, ის უკვე თავისი ამალით კარებისკენ მიდიოდა, სადაც ცხენებშებმული ეტლი ელოდა.

დრო კი გადიოდა. მეფე სულ უფრო და უფრო ეგუებოდა ვაჟის არყოლას და ქვეყნის მრავალი პრობლემის გადაუჭრელობას, უფრო და უფრო ხშირად ოხრავდა და შესცქეროდა დიდი მეფის სურათს.

მეფის ასული კარგად სწავლობდა, ბევრს კითხულობდა, ხატავდა და მშვენივრად უკრავდა როიალზე. ყველა მისი მასწავლებელი კმაყოფილი იყო. ისინი ყოველდღე დადიოდნენ სასახლეში პალომასთან, თვეში ერთხელ კი მეფეს მოახსენებდნენ ხოლმე ქალიშვილის სწავლის ამბებს. მეფე ამ დროს სასახლის ხარჯთაღრიცხვას ეცნობოდა ან ქვეყნის რუკაზე რაღაცებს ნიშნავდა, მასწავლებლებს ცალი ყურით უსმენდა და ღიმილით თავს უქნევდა, ყოჩაღ, ყოჩაღო. ნახევარი საათის შემდეგ კი აღარც ახსოვდა მათი მონაცოლი. ეს განა იმიტომ მოსდიოდა, რომ შვილი არ უყვარდა, უბრალოდ, ძალიან დაკავებული იყო.

Yet Paloma loved her mother very much. She constantly saw her in her dreams. They walked and talked together, and her mother held her in her arms and kissed her. Her mother was smiling at her, only at her, and was thinking about nothing else. The saddest thing was that Paloma's dreams never came true. If by accident her mother passed by her and noticed her, she would exclaim "My God, why do you stick to that dress!" and before the daughter could answer, she was already going towards the door, accompanied by her entourage, to where the harnessed carriage awaited her.

Time passed. The King was becoming more and more used to the idea of never having a son and of not being able to solve a lot of problems. More and more often he used to sigh and look at the portrait of the great king.

The princess studied a lot, read a lot, painted and played the piano beautifully. All her teachers were content with her. They came to see Paloma in the palace every day and once a month they would talk to the King about Paloma's progress. At such times the King was checking the palace accounts or was working on a map of the country, so he didn't listen to the teachers very attentively. He just smiled and nodded his head as a sign of approval and half an hour later he couldn't remember a word they had told him. He didn't do this because he didn't love his daughter, he was just too busy.

ამასობაში პალომა გაიზარდა. თითქოს ულამაზო არ ეთქმოდა, ქცევებით კი ვერა და ვერ დაემგვანა სხვა მეფის ასულებს. სასახლეში გამართულ წვეულებებზე იგი არასოდეს ჩნდებოდა. ხალხიც არ იცნობდა – დღესასწაულებზე მეფის ასული სულ უკან იდგა და მას ვერავინ ამჩნევდა. როცა დედოფალს რამეს ჰკითხავდნენ შვილის შესახებ, ერთ-ორ უაზრო, ზოგად ფრაზას იტყოდა და შემდეგ საუბარს სხვა თემამე გადაიტანდა ხოლმე.

ისტორიკოსი კი ასე წერდა: „ალბათ, ღმერთი გაუწყრა ჩვენს სამეფოს. ერთადერთი მეფის ასული და ისიც ასეთი უცნაური! ზოგჯერ ისე გულიანად ესალმება და ესაუბრება მოსამსახურეებს... არა, არა, ეს ნამდვილად ღვთის რისხვაა!“ ერთხელაც ბუსტად ამ გვერდზე გადაშლილი წიგნი მაგიდაზე დარჩა, როიალთან ახლოს. საქმე ისაა, რომ მოხუცს მთელი დღე თან დაჰქონდა წიგნიცა და საწერ-კალამიც. როცა რამე მოაფიქრდებოდა, გადაშლიდა და წერას აგრძელებდა. მას ხომ ყველაფერი უნდა აღენუსხა: სად რა იდგა, სად ვისი სურათი ეკიდა, მთელი სასახლის აღწერილობა, რათა მომდევნო თაობებს ყველაფერი ეს კარგად სცოდნოდათ. ასე აკეთებდა მისი მამა და ბაბუაც (და, თუ არ ვცდები, ბაბუის მამაც). ჰოდა, სწორედ იმ ოთახში დარჩა ეს წიგნი, სადაც პალომა ყოველდღე შედიოდა. როიალზე დაკვრა რომ დაამთავრა და ადგა, გოგონამ წიგნი დაინახა. იფიქრა, მე ხომ არ დავტოვე აქო და ახლოს მივიდა. თვალეები ძალაუნებურად გაექცა ლა-

Meanwhile Paloma was growing up. You wouldn't say she wasn't pretty, but her behaviour never resembled that of other princesses. She never appeared at the parties given in the palace. The people didn't know her, as at celebrations she was always standing somewhere in the background where nobody could see her. Whenever the Queen was asked about her daughter she would say one or two meaningless general phrases and then would change the topic of conversation.

The historian wrote: "God must be angry with our kingdom. The only princess and such a weird one! Sometimes she greets and talks to the servants so amicably... Well, well, this is certainly the wrath of God". Once he left the book near the grand piano open at this very page. It happened that the old man carried the book and a pen with him all the time, so whenever he thought of something he would open it and continue writing. He had to record everything: what was standing where, whose picture was on which wall, the description of the palace, so that the following generations would know every detail. His father had done the same job, his grandfather had done it, and, if I'm not mistaken, his great grandfather too. So he left the book in the very room where Paloma went every day. When she finished playing the grand piano and stood up, she saw the open book. "Maybe I left it here," she thought, and went to it. She caught a glimpse

მაზად გამოყვანილი სტრიქონებისაკენ. წაიკითხა სულ ერთი აბზაცი და იქვე სკამზე ჩამოჯდა. არა, სულ არ წყენია, პირიქით, თავი დამნაშავედ იგრძნო, რომ იმას ვერ აკეთებდა, რასაც მისგან მოელოდნენ და რაც მოეთხოვებოდა. უცებ სადღაც შორს წასვლა მოუნდა, მაგრამ პალომა ძალიან კეთილი იყო, არ უნდოდა დედ-მამისთვის ეწყენინებინა. ამიტომ სასწრაფოდ სამზარეულოში გაიქცა, ცოტა საჭმელი აიღო და სასახლის ბოლო სართულზე ავიდა. იქ კი პატარა მიხვეულ-მოხვეულ კიბეს აუყვა. ეს კიბე სასახლის სხვენზე აღიოდა. აქ პალომა ბავშვობაში თამაშობდა ხოლმე. მსახურები რომ გადაწყვეტდნენ, ეს ძველი თოჯინები მეფის ასულს აღარ სჭირდებო, ამოჭქონდათ და კუთხეში მდგარ დიდ ყუთში უკრავდნენ ხოლმე თავს. პალომა კი ხშირად აკითხავდა თოჯინებს და მშვენივრად ერთობოდა, სანამ ვინმეს გაახსენდებოდა და დახილს დაუწყებდა.

სხვენის ფანჯრებიდან მთელი ეზო, ბაღი, ცოტა მოშორებით კი ქალაქის ქუჩები და სახლები ჩანდა. იმ ღამეს პალომა სხვენზე დარჩა. მეორე დღე და ღამეც იქ გაატარა. ეზოში ჩვეულებრივ ფუსფუსებდნენ მსახურები. ურმით სურსათსანოვანად შემოჭქონდათ და პირდაპირ სამზარეულოსთან ცლიდნენ. მორთულ-მოკაზმული სამეფო ეტლი გადიოდა ჭიშკრიდან და მერე ისევ ბრუნდებოდა. მებაღე თავს დასტრიალებდა ყვავილებს. მოკლედ, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. იმ დღეებში მეფის ასულს არდადეგები ჰქონდა და

of the beautifully written lines. She read just one paragraph and sat down. No, she wasn't hurt, on the contrary, she felt guilty because she wasn't up to their expectations. Suddenly she wanted to go somewhere far away, but Paloma was very considerate and didn't want to hurt her parents' feelings. So she ran to the kitchen, took some food and went to the top floor of the palace. Then she went up the little winding staircase that led to the attic. Here Paloma used to play when she was a child. When the servants decided that the princess didn't need some old dolls, they took them to the attic and put them in a big chest in the corner. But Paloma often used to visit her dolls and had a good time playing with them until someone remembered her and started calling her.

From the attic window there was a wonderful view of the courtyard, the garden, and a bit further off the streets of the town and the houses. That night Paloma stayed in the attic. She spent the next day and night there too. In the courtyard the servants were pottering about as usual. They were bringing in food on carts and were emptying them right at the kitchen door. An ornate royal carriage passed through the gate and then returned. The gardener was dotting over the flowers. In short, everything was the same as usual. At the time the princess was on holiday, so her teachers didn't come. Paloma's absence wasn't noticed by the servants either: for quite a long time now she hadn't admitted

მასწავლებლები არ დადიოდნენ. პალომას არყოფნა ვერც მსახურებმა შენიშნეს: დიდი ხანია, მათ აღარ უშვებდა თავის ოთახში, არ უყვარდა, ნივთებს სხვა რომ ულაგებდა.

ასე იცადა სამი დღე. ჩემს აქ ყოფნას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონიაო, იფიქრა და მეოთხე დღეს ძველ სკივრში ნაპოვნი უბრალო კაბა ჩაიცვა, თავზე ქუდი ჩამოიფხატა, შეუმჩნეველად გავიდა ებოში, ებოდან – ბალში, ბალიდან – გზაზე და იმ გზას გაუყვა.

აღარც კი ვიცი, რამდენი დღე გავიდა ამის შემდეგ. სასახლეში ყველაფერი ძველებურად იყო. დედოფალს, მგონი, საქმე შემოელია და ახლა ოთახების გალამაზებას შეუდგა. ყველგან ბაფთებისა და ხელოვნური ყვავილები-საგან გაკეთებულ გვირგვინებს აკიდებინებდა მსახურებს. როგორც ყოველთვის, ახლაც ზედმეტი მოსდიოდა. დაჰყვებოდნენ მსახურები კიბით და მორჩილად უქნევდნენ თავს. დიდი წინაპრების, ცხენზე ამხედრებული შუბიანი და ფარ-ხმლიანი ვაჟკაცების სურათებიც კი ფერად-ფერადი ბაფთებით და ბანზალაკებით „შეამკო“, თან წარამარა ჟურნალში იხედებოდა, ხომ ყველაფერს წესის მიხედვით ვაკეთებო.

ამასობაში არდადეგებიც დამთავრდა და პალომას მასწავლებლებმა მოაკითხეს. მსახურებმა თავის ოთახში ვერ